სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორის

ბრძანება № 21

2010 წლის „09" სექტემბერი

ქ. თბილისი

სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების გაცემის მიზნით გამოცხადებული კონკურსების ფარგლებში გამარჯვებული საგრანტო პროექტების შესრულების შუალედური (კვარტალური) ანგარიშის წარსადგენი განცხადებისა და ამ ანგარიშის ფორმის დამტკიცების შესახებ

„მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24^1 მუხლის, "სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების გაცემის შესახებ" დებულებისა და საგრანტო პროექტის შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2006 წლის 19 აპრილის №81 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე–9 მუხლის მე–2 პუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე–4 მუხლის მე–2 პუნქტის „ბ" და „თ" ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების გაცემის მიზნით გამოცხადებული კონკურსების ფარგლებში გამარჯვებული საგრანტო პროექტების შესრულების შუალედური (კვარტალური) ანგარიშის წარსადგენი განცხადების ფორმა ამ ბრძანების №1 დანართის შესაბამისად.
2. დამტკიცდეს სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების გაცემის მიზნით გამოცხადებული კონკურსების ფარგლებში გამარჯვებული საგრანტო პროექტების შესრულების შუალედური (კვარტალური) ანგარიშის ფორმა ამ ბრძანების №2 დანართის შესაბამისად.
3. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის საქმისწარმოების კოორდინატორს (მ. ბეჟიტაშვილს) წინამდებარე ბრძანების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა ფონდის მონიტორინგის დეპარტამენტისათვის.

4. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორს (თ. გორგოძეს) წინამდებარე ბრძანების კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნება ვებ–გვერდზე: www.rustaveli.org.ge.

5. ბრძანება ძალაშია 2010 წლის 13 სექტემბრიდან.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

სულხან სისაური

გენერალური დირექტორი